

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
“სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია”
სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი №1

ქ. ბათუმი

04.02.2020 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

ირაკლი კაცაძე (კომისიის თავმჯდომარე); გელა ბაკურიძე (კომისიის წევრი); პაატა ადამია (კომისიის წევრი); დავით იოსელიანი (კომისიის წევრი); ირაკლი გოცირიძე (კომისიის წევრი); მამუკა ბარამიძე (კომისიის წევრი); რუსუდან ყიფიანი (კომისიის წევრი); აბდულ კახიძე (კომისიის წევრი); ირაკლი დოლიძე (კომისიის წევრი); მანუჩარ ლორია (კომისიის წევრი); მურთაზ დევაძე (კომისიის წევრი).

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: ნანა დევაძე.

დღის წესრიგი: კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის, ქ. ფოთში, წმინდა გიორგის ქ. N24-ში მდებარე, ყოფილი ჰიდრო-მელიორაციული ტექნიკუმის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდგომში 1000 (ერთი ათასი) სტუდენტზე საწავლო დაწესებულების სსიპ “სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის” ფოთის ფილიალის დაარსების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო შესყიდვის მიზნით ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე ჩატარების შესახებ სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის დამტკიცება.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: ნანა დევაძე.

მოისმინეს: სატენდერო კომისიის თავმჯდომარის ირაკლი კაცაძის გამოსვლა, რომელმაც სხდომას დასამტკიცებლად წარუდგინა ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე ჩატარების შესახებ სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი. ასევე კომისიის წევრებს გააცნო საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის N165 განარგულება, რომელიც ეხება ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიამ ფოთის ფილიალის დაარსების უზრუნველსაყოფად ქ. ფოთში, წმინდა გიორგის ქ. N24-ში მდებარე, ყოფილი ჰიდრო-მელიორაციული ტექნიკუმის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის 15¹ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადებში, რაც შეადგენს არანაკლებ 10 (ათი) კალენდარულ დღეს.

სატენდერო კომისიის წევრებმა განიხილეს და იმსჯელეს ზემოთაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით.

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის, ქ. ფოთში, წმინდა გიორგის ქ. N24-ში მდებარე, ყოფილი ჰიდრო-მელიორაციული ტექნიკუმის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია სხდომაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ელექტრონულ სისიტემასი განთავსებული პროექტის სახით.
2. შესყიდვის ტიპი: ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე(NAT)
3. კლასიფიკატორის კოდი - CPV: 45400000;
4. სატენდერო კომისიის აპარატმა ტენდერის რეგისტრაციის დროს გაითვალისწინოს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის N165 განარგულება და წინადადებების მიღების დამთავრების

თარიღად განისაზღვროს „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის 15¹ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადები.

5. სამუშაოების შესრულების ვადა შეადგენს - ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 9 (ცხრა) კალენდარულ თვეს;

6. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა 5'876'164 (ხუთი მილიონ რვაას სამოცდათექვსმეტი ათას ას სამოცდაოთხი) ლარი, დღგ-ს გათვალისწინებით;

7. დაფინანსების წყარო: - 100 % გრანტი/კრედიტი.

8. სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე 2020 წლის 04 თებერვალს.

ირაკლი კაცაძე (კომისიის თავმჯდომარე)

მურთაზ დევაძე (კომისიის წევრი)

აბდულ კახიძე (კომისიის წევრი)

მანუჩარ ლორია (კომისიის წევრი)

გელა ბაკურიძე (კომისიის წევრი)

რუსუდან ყიფიანი (კომისიის წევრი);

დავით იოსელიანი (კომისიის წევრი)

პაატა ადამია (კომისიის წევრი)

ირაკლი გოცირიძე (კომისიის წევრი)

მამუკა ბარამიძე (კომისიის წევრი)

ირაკლი დოლიძე (კომისიის წევრი)

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:
ნანა დევაძე

